



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დადოვლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№17 (9.779)

5 - 12 მაისი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ირაკლი კობახიძე
- სტატუსი
პრეზიდენტის
რჩება სუსტად იკვირე,
უფლებამოსილებებში
კი ორი არსებითი
ცვლილებაა,
რომელიც
ვენეციის კომისიის
რეკომენდაციებს
ეფუძნება

მმ.მ

ოჯახი - ჩვენი ქვეყნის ქვაკუთხედი



მმ.მ



მმ.მ

„მუხის ფოთლაზის“ პრეზენტაცია...



მმ.მ

სტუმრად სამრეკლოს საბავშვო ბაღში



მმ.მ-მ

წყლის ნამდვილი თუ გამოგონილი სისუფთავე?!



მმ.მ

მათი ბედნიერი
თვალების დანახვა
ჩვენთვის ყველაზე
დიდი საჩუქარია...



ღირსეული მამის ნაკვალევზე...

მმ. მ

„პატრივს ვსცემლეთ წმილასა გიორგის“



მმ.მ

პროექტი ხორციელდება ქალთა ფონდ საქართველოს მხარდაჭერით წყლის ნამდვილი თუ გამოგონილი სისუფთავე?!

უკვე ერთი თვეა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს ქალები“ ახორციელებს პროექტს „ქალები სუფთა გარემოსთვის“, რომელსაც მხარს უჭერს და აფინანსებს „ქალთა ფონდი საქართველო“. ჩვენი გახართის მიმართ მინდა მოახსენებ, რომ 4 აპრილს „დედოფლისწყაროს ქალებმა“ პროექტის ფარგლებში პირველი აქცია განახორციელა, რომელიც ითვალისწინებდა დედოფლისწყაროს სხვადასხვა ადგილების მონახულებას გარემოს დაცვის სააგენტოს უფროსის და მისი წარმომადგენლების თანხლებით. ღონისძიებაზე გარემოს დაცვის სააგენტო ჩამოსული იყო სპეციალური აპარატურით, რომლითაც გაზომეს ჰაერის, ნიადაგის, ელემენტარული ვოლის სინთეზი. ამავე დღისათვის საშუალო პროცენტით გარემოს დაცვის სააგენტომ ლაბორანტებმა აიღეს ეგრეთ წოდებული „გურლის წყლის“ და ქორობის ტვის სინთეზი. იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოების ინტერესი მაღალი გავლდა, გთავაზობთ მოსული ანალიზების პასუხების ცხრილს.

გედიქი - ქაბურლილი

ქოჩების ტბა

| № | დასახელება | ერთეული | გაზომვის შედეგები | ზღკ* | გამოყენებული მეთოდი |
|----|------------------------|----------|-------------------|-------|-------------------------------|
| 1 | ელექტროგამტარობა | სმს/ცმ | 2300 | | მობილ. აპარატურა-Oxi330i/340i |
| 2 | გამჭირვალობა | სმ | 8 | | |
| 3 | მინერალიზაცია | მგ/ლ | 2398.88 | | |
| 4 | შენონილი ნაწილაკები | მგ/ლ | 30,0 | | ISO11923:2007 |
| 5 | კარბონატი | მგ/ლ | - | | ტიტრიმეტრული |
| 6 | ნახშირორჟანგი | მგ/ლ | 1.23 | | ტიტრიმეტრული |
| 7 | გახსნილიჟანგბადი | მგ/ლ | 5,14 | 4 - 6 | მობილ. აპარატურა-Oxi330i/340i |
| 8 | სიხისტე | მგ.ექვ/ლ | 15.78 | | ISO 6059-84 |
| 9 | ჟბმ ⁵ | მგ/ლ | 2,22 | 6.0 | ISO5815-1:2010 |
| 10 | ამონიუმი | მგN/ლ | 0,226 | 0.39 | ISO7150-1:2010 |
| 11 | ნიტრიტი | მგN/ლ | <0,001 | 1.0 | ISO 10304-1:2007 |
| 12 | ნიტრატი | მგN/ლ | 1,185 | 10.0 | ISO 10304-1:2007 |
| 13 | ფოსფატი | მგ/ლ | 0,097 | 3.5 | ISO 10304-1:2007 |
| 14 | სულფატები | მგ/ლ | 747,62 | 500 | ISO 10304-1:2007 |
| 15 | ქლორიდები | მგ/ლ | 692,88 | 350 | ISO 10304-1:2007 |
| 16 | ფტორი | მგ/ლ | 0,261 | | ISO 10304-1:2007 |
| 17 | ჰიდროკარბონატები | მგ/ლ | 158.60 | | ტიტრიმეტრული |
| 18 | კალიუმი | მგ/ლ | 10.0 | | ISO9964-3:2010 |
| 19 | ნატრიუმი | მგ/ლ | 502.0 | 200 | ISO9964-3:2010 |
| 20 | კალციუმი | მგ/ლ | 230.19 | 180 | ISO6058:2008 |
| 21 | მაგნიუმი | მგ/ლ | 52.28 | | ISO6058:2008 |
| 22 | სილიციუმჟავა | მგ/ლ | 17.2 | | ISO 16264:2007 |
| 23 | E-Coli | 1დმ3-ში | არ აღმოჩნდა | 5 000 | მემბრანული ფილტრაციის მეთოდი |
| 24 | ტოტალური კოლიფორმები | 1დმ3-ში | არ აღმოჩნდა | | მემბრანული ფილტრაციის მეთოდი |
| 25 | ფეკალური სტრუპტოკოკები | 1დმ3-ში | არ აღმოჩნდა | | მემბრანული ფილტრაციის მეთოდი |

| № | ერთეული | გაზომვის შედეგები | ზღკ* | გამოყენებული მეთოდი |
|----|----------|-------------------|-------|-------------------------------|
| 1 | სმს/ცმ | - | | მობილ. აპარატურა-Oxi330i/340i |
| 2 | სმ | 3 | | |
| 3 | მგ/ლ | 126 788 | | |
| 4 | მგ/ლ | 1379,5 | | ISO11923:2007 |
| 5 | მგ/ლ | 1.8 | | titrimetriuli |
| 6 | მგ/ლ | - | | titrimetriuli |
| 7 | მგ/ლ | - | 4 - 6 | მობილ. აპარატურა-Oxi330i/340i |
| 8 | მგ.ექვ/ლ | 1201.0 | | ISO 6059-84 |
| 9 | მგ/ლ | 61,66 | 6.0 | ISO5815-1:2010 |
| 10 | მგN/ლ | 5,381 | 0.39 | ISO7150-1:2010 |
| 11 | მგN/ლ | <0,001 | 1.0 | ISO 10304-1:2007 |
| 12 | მგN/ლ | 0,056 | 10.0 | ISO 10304-1:2007 |
| 13 | მგ/ლ | 1,600 | 3.5 | ISO 10304-1:2007 |
| 14 | მგ/ლ | >1488,7 | 500 | ISO 10304-1:2007 |
| 15 | მგ/ლ | >1978,6 | 350 | ISO 10304-1:2007 |
| 16 | მგ/ლ | <0,001 | | ISO 10304-1:2007 |
| 17 | მგ/ლ | 173.24 | | ტიტრიმეტრული |
| 18 | მგ/ლ | 22.5 | | ISO9964-3:2010 |
| 19 | მგ/ლ | >10000 | 200 | ISO9964-3:2010 |
| 20 | მგ/ლ | >10000 | 180 | ISO6058:2008 |
| 21 | მგ/ლ | 223.74 | | ISO6058:2008 |
| 22 | მგ/ლ | 50.5 | | ISO 16264:2007 |
| 23 | 1დმ3-ში | არ აღმოჩნდა | | მემბრანული ფილტრაციის მეთოდი |
| 24 | 1დმ3-ში | არ აღმოჩნდა | | მემბრანული ფილტრაციის მეთოდი |
| 25 | 1დმ3-ში | არ აღმოჩნდა | | მემბრანული ფილტრაციის მეთოდი |

„ბურლის წყლიდან“ აღებულ წყალს დედოფლისწყაროს (და არა მარტო დედოფლისწყაროს) მოსახლეობა სვამს იმ თვალსაზრისით, რომ ის ნალექეწიფიანი და ავადმყოფების სამკურნალოდ სასარგებლოა, თანაც დარწმუნებული არიან, რომ ის ბევრად მსუბუქია დასაღვად და სუფთაა დედოფლისწყაროს ცენტრალური ავზით ონკანებზე მიწოდებულ წყლებთან შედარებით. კვლევებმა აჩვენა, რომ მოსახლეობისთვის მისაღები და სანდო წყალიც კი არ შეესაბამება სტანდარტულ ნორმებს. ლოგიკურად ჩნდება კითხვა, თუ ის წყალიც კი არაა სათანადო ნორმებთან შესაბამისობაში, რომელიც მოსახლეობის აზრით სუფთაა, მაშინ როგორ იქნება ჩვენი ონკანის წყალი, რომლის ანალიზების ლაბორატორიული დასკვნის პასუხი ჩვენ ვერ მოვიხივებთ იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების დედოფლისწყაროს ფილიალის მენეჯერმა არ ისურვა ჩვენთან თანამშრომლობა. უფრო მეტიც, ჩვენ მას ვითხოვთ, რომ წყლის რეზერვუარის განმედიტი სამუშაოებზე, რომელიც 26-27 აპრილს განახორციელა, დაეხმარებოდით როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის და პრესის წარმომადგენლები, თუმცა მან ყველა გზა მონახა და ყველა პასუხი, რომ რეზერვუარამდე ჩვენ არ მივსულყავით და არ დაეხმარებოდით პროცესს. ცხადია, ჩნდება კითხვა, რამდენად სანდოა წყალი, რომელსაც ვსვავთ? და თუ ყოველივე წესრიგშია, როგორც მათი ლაბორატორიული

ანალიზების დასკვნის პასუხები გამოიყურება, რომელიც ჩვენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის დედოფლისწყაროს ფილიალში ვნახეთ, მაშინ რატომ მოახდინა წყალკანალის მენეჯერმა „დედოფლისწყაროს ქალები“ იგნორირება?!
სასმელი წყლის სისუფთავის ხარისხის გასარკვევად ჩვენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მივსულიყავით. აღნიშნულ საკითხებზე კომენტარი ვითხოვთ დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფროსს მარიამ ბონაშვილს და მის სპეციალისტს წყლების სანიტარული ზედამხედველობის დარგში გივი ჰაინაშვილს. მათი საუბრიდან აღმოჩნდა, რომ არც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან ჰქონია ჯანსაღი თანამშრომლობა გაერთიანებული წყალმომარაგების დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მენეჯერს და ამ ორგანიზაციის მოთხოვნებს და რეკომენდაციებსაც უგულვებელყოფს. რაც შეეხება ანალიზებს, ანალიზის დასკვნებსაც დიდი დავის და ბრძოლის შემდეგ ახვიდნენ ჯანდაცვას. უფრო მეტიც, არც რეზერვუარის განმედიტი სამუშაოებს დაასწრეს და ჯანდაცვის რეკომენდაციებსაც კონფლიქტით პასუხობს.
პირველ რიგში მოგახსენებთ ეგრეთწოდებული „ბურლის წყლის“ და „ქოჩების ტბის“ შესახებ ჩემს აზრს, გრუნტის წყალი ორი ქანის ფენას შორისაა მოთავსებული, ის ინახება, ინახება და სადაც გამოდის. მაზოგის წყალი კი, 16-მდე ობელისკთან არსებულ ქაბურლილში იფილტრება, იფილტრე-

ბა და გამოდის მაზოგაკაში, სადაც წყაროს წყლები გროვდება, გროვდება რეზერვუარში და იტუმბება ელიის ავზში. იქ მას აქვს სალექარი, სადაც მინა და კენჭი ილექება, ამას ჩვენ წყლის მომწოდება ვეძახით, საიდანაც სუფთა მომწოდებული წყალი კიდევ უნდა გადავიდეს სხვა რეზერვუარში, თუმცა იქ სხვა რეზერვუარი აღარ არსებობს, საიდანაც წყალი უნდა სისტემაში გაიშვას. ასეთია წესი, წყალი შემოვიდა, დაეყოფნე, დაეჯდა, გადავიდა მეორეში, დაიქლორა და გაეფუჭი სისტემაში. ეს არის წყლის მიწოდების კანონიერი და წესისმიერი გზა.
ამაჟამად განმედიტი სამუშაოებს თუ დაესწარი, ან შეგატყობინათ წყალკანალმა უკვე ჩატარებული სამუშაოების შესახებ, თუ არა?
- ვიყავი, მაგრამ მე ვერ დავადასტურებ, რომ იქ ყოველგვარი წესის დაცვით გაკეთდა ყველაფერი, ის რაც ვნახე, იყო ის, რომ ამოუწმენდათ, ამის დასტური იქვე დაყრილი ქვიშა, კენჭები და აყალი, თუმცა გეგმაზომიერი საგაზაფხულო და სამემდეგო მოგანმედიტი სამუშაოები მხოლოდ დედოფლისწყაროს ავზს არ ეხება, ეს ყველა სოფლის ავზს უნდა ეხებოდეს და ყველა სოფლის ავზი უნდა იწმინდებოდეს. ასეთია წესი.
-სანიტრესა რეცხვა-დეზინფექცია როგორ კეთდება კანონით?
-ამას მინიმუმ ორი დღე-ღამე მაინც სჭირდება. ავზის დაცლის შემდეგ უნდა შეივსოს ავზი ახლიდან და სადეზინფექციო

ხსნარი ან ქლორი გაიშვას შიგ, რომელიც 24 საათი უნდა გაჩერდეს ავზში და შემდეგ ისე დაიცავს. გარდა ამისა, შიგ არსებული და დაგროვილი აყალი უნდა გაიწმინდოს და კედლები კარგად ჩამოიფხვოს. ამის შემდეგ ისევ იგივე პროცედურა, სადეზინფექციო ხსნარის გაშვება და კვლავ ავზის დაცვა და ავსება საჭირო. რთულია ამ პროცესის აღწერა, იქ სხვა ბევრი რამაა გასათვალისწინებელი.
-დავინყოთ აქედან, სიხისტე რა არის?
- ეს წყლის სიბრძოლა, სიხისტის ნორმატივი არაუმეტეს 7-10 მგ. ეკვ/ლ უნდა იყოს.
-გთხოვთ ვისაუბროთ ნიტრიტებზე და ნიტრატებზე.
-ნიტრიტები-ნიტრატები ნიშნავს იმას, თუ წყალში ფოთოლი ან ჭია ჩავარდა და გაიხრწნა, შესაძლოა წყალში ფოთოლი და ჭიაყლა კი არა, თავი ჩავარდეს, შეიძლება კატა ჩავარდეს, განა მარტო ფოთოლზე და ჭიაყლაზეა საუბარი?
-რას ამბობთ, რატომ უნდა ჩავარდეს, არის რაიმე ამის საფეხო? საიდან უნდა ჩავარდეს იქ ასეთი რამ? თავსაზური არ აქვს?
-რა ვიცით აბა, 300 კაციან თვითმფრინავი ვარდება და იმას ვერ შევლიან და რატომ არ შეიძლება, თავი ჩავარდეს? ხომ დახურულია ავზი და აფარია?!- თქვენ რა, არ გინახავთ იქაურობა?
-კარგი, სხვა მინარევები რა დოზითაა დასაშვები წყალში და რამდენად სწორია მათი არსებობა სასმელ წყალში?
(გაგრძელება გვ.6)

„მუხის ფოთლების“ პრეზენტაცია...

ცნობილი ქართველი პოეტის, პროზაიკოსისა და პუბლიცისტის, გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ რედაქტორის, დედოფლისწყაროს მნიგნობართა ასოციაციის საპატიო წევრის, ქ-ნ ეთერ ფაცურიას რიგით მეცხრე წიგნის „მუხის ფოთლების“ პრეზენტაცია გაიმართა ქალაქის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. ღონისძიების ავტორი გახლდათ გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ რედაქტორის მოადგილე, დედოფლისწყაროს მნიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე, კულტურული ღონისძიებების დიდი ქომაგი ქ-ნი ნანა ჭიჭინაძე. წიგნის პრეზენტაციას ესწრებოდნენ გამგეობის განათლების, სპორტისა და კულტურის

სამსახურის ხელმძღვანელი თამარ თამაზაშვილი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ლალი გურასაშული, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ნონა ჯიბლაშვილი, მოადგილე თამარ ხარაშვილი, გამგეობის მთავარი სპეციალისტები ნანული ნატროშვილი, ია ბუნტური და სხვა წარმომადგენლები. ღონისძიებას ესწრებოდა ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ცისკარაული და რაიონის მნიგნობართა ასოციაცია თითქმის სრული შემადგენლობით, ასევე რაიონის საზოგადოების რიგითი მოქალაქეები. პრეზენტაციას ხალხური სიმღერების ხიბლი მოჰქონა შამლექ გონაშვილის სახ.ხალხური სიმღერისა და ქართული გალობის სკოლის ვაჟთა ანსამბლმა. ღონისძიებაზე მონაწილე სტუმრებს სიტყვით მიმართა ბიბლიოთეკის მმართველმა მანანა მაჭარაშვილმა, მან ახალი წიგნის მოკლე ანოტაცია გააკეთა და შემდეგ ვრცლად ისაუბრა ეთერ ფაცურიას შემოქმედების ინდივიდუალურობასა და სიფაქიზეზე. ქ-ნმა ლალი გურასაშულმა მხატვრულად ნაიკითხა მწერლის ნოველა ე.წ. პლენარული მარგოზე „გიჟი არ იყო“-„განა მართლა გიჟი იყო მარგო? მას ქიფი უყვარდა და ცეკვადა ტანგოს“...ამ სიტყვებით უამრავ დამაფიქრებელ ემოციას გადმოსცემს ავტორი ამ ქალბატონზე. ბიბლიოთეკის თანამშრომელმა თინიკო ელაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მწერლის ბიოგრაფიული მონაცემები შეახსენა და მის მეუღლეზე, ცნობილ მწერალსა და პუბლიცისტზე ლადო ალფინიძეზე ისაუ-

ბრა. პოეტმა ჯუმბერ უთრუთაშვილმა მხატვრულად ნაიკითხა მწერლის რამოდენიმე ლექსი და მის შემოქმედებაზეც გაამახვილა ყურადღება. მწერლის შემოქმედებაზე ისაუბრა ლიტერატურული ალმანახის „ხორნაბუჯის“ რედაქტორმა გიორგი ნატროშვილმა და პოეტმა თამაზ ნიკლაურმა. დარბაზში მსხდომმა, ქალბატონი ეთერის შემოქმედებით მოხიბლულმა სტუმრებმა სურვილი გა-

სი ნონა ჯიბლაშვილი და მადლობა გადაუხადა ქ-ნ ნანა ჭიჭინაძეს, რომ რაიონის საზოგადოებას საშუალება მიეცა, ახლოს გასცნობოდა ქ-ნ ეთერ ფაცურიას შემოქმედებას, მან მადლობა შეუთვალა მწერალს, გაზეთ „საქართველოს ლირიკაში“ ჩვენი რაიონის კულტურული ღონისძიებებისა თუ წარმატებების გაშუქებისთვის. ამის შემდეგ კი მოხდა დედოფლისწყაროს რაიონის ღვანდომისილი



მოთქვას, მხატვრულად წაეკითხათ ლექსები და ამონარიდები მისი მოთხრობებიდან. იქ, იმ დარბაზში, იმ ორი საათის განმავლობაში იმდენი კარგი რამ ითქვა და იმდენი დადებითი ემოცია დაგროვდა მწერლის მიმართ და ისეთი საერთო განწყობა შეიქმნა, გულდასაწყვეტი იყო, თავად რომ ვერ ესწრებოდა ამ ყველაფერს. ღონისძიების დასასრულს შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფრო-

პედაგოგის, ყველა მისი ნამონაფარის მორალური მხარდამჭერისა თუ მეგობრის- ქ-ნ ნანული ნატროშვილის დაჯილდოვება და „ამაგდარი ბების“ რანგში გადაეცა მას საპატიო სიგელი. ნანული მასწავლებლისთვის ეს ჯილდო მოულოდნელი სიურპრიზი იყო, მან სიხარულის ცრემლები ვერ დაფარა და დიდი მადლობა გადაუხადა ყველას ამ დიდი ყურადღებისა და დაფასებისთვის.

ელზა ხარაშვილი

სტუმრად სამრეკლოს საბავშვო ბაღში

ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ძალიან ხშირად გვინეწვს საბავშვო ბაღების ღონისძიებებისა თუ სხვადასხვა აქტივობების გაშუქება, ეს კი მათი დამსახურებაა, იმ აქტიური და ენერგიული პედაგოგების, რომელიც ყოველ მისვლაზე გვხვდებიან სააღმზრდელო დანესებულებებში. 5 მაისს სოფელ სამრეკლოს საბავშვო ბაღში მიგვიწვიეს და დავესწართ ვერ 3-4 წლიანთა ჯგუფს, შემდეგ 5-6 წლიანებში გადავიწვიეთ. 3-4 წლიანთა ჯგუფის პედაგოგმა ია გელაშვილმა თანაშემწე ეკა ბერიაშვილთან და ძიძა ეკა ხატიაშვილთან ერთად ინტეგრირებულ ღია მეცადინეობას მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში წარმატებით გაართვა თავი. პატარა ასაზრდელეებმა თამაშ-თამაშში ადვილად გამოიციეს მათემატიკური ციფრები ათის ფარგალში, მათ თითოეულ ციფრზე თითო ლექსი ჰქონდათ დამახსოვრებული, ეს ყველაფერი კი საბავშვო მუსიკის ფონზე მიმდინარეობდა. ბაგის ჯგუფიდან ახლად გადმოსული ზოგიერთი პატარა ვერ კიდევ გაოცებული იყურებოდა აქეთ-იქით და ეგუებოდა

ახალ გარემოს, ია მასწავლებელიც მათ არაფერს აძლებდა, თუმცა უარს არ ამბობდნენ აქტივობებში მონაწილეობაზე. ბავშვებმა წელიწადის დროები ჩამოთვალეს, თითოეული დროის თვეები კი ციფრ სამთან გაიგივეს და ასეთი ტიპის უამრავი მაგალითი მოიყვანეს. პედაგოგმა მათ გლობუსი აჩვენა და პკითხა, თუ რა ფერები შენიშნეს მათ ამ ნიშნულზე, მოსწავლეებმა არა მხოლოდ ფერები ამოიციეს, არამედ განმარტეს, თითოეული ფერი რას აღნიშნავს გლობუსზე, ამის ცოდნა გამოავლინეს. შემდეგ საათი და დრო აუხსნა მათ პედაგოგმა, ბავშვებმა ისრების მიმართულებით ციფრები განლაგეს და ასე მხირულად მივედით ღია მეცადინეობის დასასრულამდე. დროში კარგად გადანაწილებული, სახალისო და საინტერესო ღია მეცადინეობას მაღალი შეფასება მისც ეს სტუმრად მიწვეულმა პედაგოგებმა ქალაქის ყველა საბავშვო ბაღიდან.



ერთი ღონისძიებიდან მეორეზე გადავიწვიეთ. 5-6 წლიანთა ჯგუფის ღია მეცადინეობას მათემატიკაში პედაგოგი ჟანა მიქიაშვილი უძღვევოდა თანაშემწე ნათია თათარაშვილთან ერთად. ჯგუფებს შორის ორი-სამი წელი სხვაობა ამკარად შესამჩნევი იყო. ბავშვებმა საკმარისზე მეტი ცოდნა გამოავლინეს ამ ზუსტი მეცნიერების შესახებ. ჯერ მიმოიხილეს ზოგადად მათემატიკა, როგორც მეცნიერება, შე-

მდეგ განალაგეს ციფრები დაფაზე, თვალეს უკუთვლით 20-ის ფარგალში, ამოიციეს ყველა წინა და მომდევნო ციფრი თუ რიცხვი 20-ის ფარგალში, თვალსაჩინოების მიხედვით შეავსეს მონაკვეთი, დაასახელეს კენტი და ლუნი ციფრები, შეადგინეს მაგალითები 5-ის ფარგალში, გაეცნენ გეომეტრიულ ფიგურებს და შემდეგ მათი მეშვეობით ააწყეს სახლი, მზე და ა.შ. ამდენი ცოდნის წარმოჩენის შემდეგ, აღარ გამკვირვებია საათის ცნობასაც რომ ფლობდნენ და საერთოდ, დღევანდელი თაობების ბევრად მეტი ცოდნა მთელ რიგ საკითხებში, ვიდრე ადრე იყო, არ მიკვირს და მშობლის პოზიციიდანაც მიმაჩნია, რომ ასეც უნდა იყოს. ეს მათთვის ზედმეტი არასდროს იქნება, არცერთ ასაკში, პირიქით, ეს დაეხმარება მათ, თანამედროვე ტექნოლოგიების სამყაროში უფრო ადვილად მოახდინონ გარემოსთან ადაპტაცია და სჯობია, პედაგოგიდან გააზრებულად

მიიღონ ესა თუ ის ინფორმაცია, ვიდრე კომპიუტერიდან. არაფერს ნიშნავს დღეს ის, რომ თუნდაც მე ამ ასაკში ბევრად ნაკლები ვიცოდი და ბევრად მწირი ინფორმაცია მქონდა სამყაროზე, კოსმოსზე თუ მათემატიკურ ამოცანებზე, ჩვენ არც ფერადი ტელევიზორის არსებობა ვიცოდით მაშინ ჯერ, არც მობილური გვექონდა და არც კომპიუტერი, რითაც განებივრებულები არიან დღეს ჩვენი პატარები, ამიტომ, მათ, რათქმაუნდა, ჩვენზე ბევრად ბევრი უნდა იცოდნენ და იციან კიდევ, სხვანაირად, უბრალოდ, წარმოუდგენელი მგონია.

ელზა ხარაშვილი



ღირსეული მამის ნაკვალევზე...

მსოფლიო რანგის ქართველი ბარიტონის, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის, ლადო ათანელის შვილები მის გზას რომ აგრძელებენ, ეს ბევრმა არ იცის... ალბათ იმიტომ, რომ არცერთს არ უყვარს ინტერვიუები და ამის საზგასმა. არადა, ორივე ვაჟი გარეგნობითაც და გამორჩეული ხმის ტემბრითაც არაფრით ჩამოუვარდება მშობელს. ირაკლი და ილია ათანელიშვილებს ამ სფეროში გარკვეული წარმატებები და სერიოზული გეგმები აქვთ. უფროსი ვაჟი გერმანიაში მოღვაწეობს, უმცროსი კი აქ აპირებს თავისი სიტყვა თქვას და დამტკიცოს, რომ შეუძლია. გასულ კვირას **ილია ათანელიშვილი** დედოფლისწყაროში იმყოფებოდა. მან მონაწილეობა მიიღო „წარმატებული ოჯახების“ დაჯილდოების ცერემონიაში. მშობლიურ მხარეში მისი პირველი გამოსვლა შედგა. ეს ინტერვიუც აქ სტუმრობისას ჩავენერეთ.



ხმა მქონდა ვიდრე მას. ამის შემდეგ შეიცვალა ჩემი გეგმები. მესტრომ შემომთავაზა მასთან მეგობრობა და ამ მიმართულებით განვიტარებდებო. კვირაში რამოდენიმე გაკვეთილი დამინიშნა. სიახლოვეთ დავე-თანხმე და მომზადება დავიწყე. ყოველთ-ვის ვხვდავდი, რომ მასთან განუწყვეტლოვ მეცადინეობდნენ უდიდესი მომღერლები, რამაც ჩემში მუსიკის მიმართ ინტერესი და სიყვარული აღძრა. აღმოვაჩინე, რომ ამ გა-რემომ ძალიან მომნიშნა, უზარმაზარ სტი-მულს მაძლევდა.

– შეიძლება ითქვას, რომ პროფესია დათმე და ახალი გზა აირჩიე?

– კი, ამ გადასახედინდნ ვიჭირობ, რომ ბავშვური არჩევანი იყო. ადამიანი რომ იზრდება, აზრს იცვლის. მივხვდი, რა არის ჩემი მონოდება და რა უნდა ყოფი-ლიყო ჩემი ნამდვილი პროფესია. მე მინ-და ვიყო მომღერალი. დიდი ბედნიერებაა, როცა შენი ნამღერით ფართო აუდიტორიას ანიჭებ სიახლოვებას.

– როგორ გახსენდება პირველი გამოს-ვლა ფართო აუდიტორიის წინაშე, რა ემოცია და რა განცდები იყო?

– ჩემი პირველი გამოსვლა ფართო აუ-დიტორიის წინაშე იყო ძალიან მღელვარე, რადგან ყველას აინტერესებდა, როგორ ვი-მღერებდი, რა ხმა ჰქონდა დიდი მომღერ-ლის შვილს. როდესაც ლადო ათანელის შვილი ხარ, ეს სხვა პასუხისმგებლობაა. რადგან სცენაზე გამოდის უმცროსი ათა-ნელიშვილი, მასურებელი სხვანაირად აფა-სებს ამას, სხვა მოლოდინი აქვს და უნდა გაამართლო მათი იმედები. ბუნებრივია, ამ ყველაფერს ვაცნობიერებდი და ძა-ლიან ველავდი. იმდენად განვიცდიდი, რომ ბოლო წუთში თითქმის გადავიფიქრე სცენაზე გასვლა. რომ არა ჩემი პედაგოგი, მესტრო ელდარ გენაძე, რომელმაც დიდი შრომა ჩადო ჩემი, როგორც მუსიკოსის ჩა-მოყალიბებაში, ალბათ არ გავიდოდი. ეს დღე არ დამავიწყდება, ეს იყო კონსერვა-ტორიაში, სადაც მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტიდან“ პირველი არია შევასრულე. როცა გავედი სცენაზე და ამდენ ხალხს გადავხვდი, მივხვდი, რომ თურმე მომღე-რალი მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ უნდა მღეროდეს.

– შენი დამოკიდებულება კახეთთან, დედოფლისწყაროსთან. რას გაიხსენებ, რა შეხება გქონია, რა მოგონებები გაქვს, რა მნიშვნელობა აქვს შენთვის ამ მხარეს.

– ჩემი დამოკიდებუ-ლება კახეთთან ისეთი-ვეა, როგორც ყველა კახელს ექნება. ესაა ჩემი მშობლიური მხარე. ცხა-დია, მეამაყება და მი-ყვარს. ქიზიყი, უბატონო კუთხეა, სადაც სუფევს სიყვარული და ერთმა-ნეთის თანაგრძობა, სადაც ხალხი ლაღია და ამაყი. ბავშვობაში მე და ჩემი ძმა არდადაგების დროს ყოველთვის დე-დოფლისწყაროში ჩამო-ვდიოდით და ზაფხულს ბებიასთან, სოფელ სა-მრეკლოში ვატარებდით. შეიძლება ითქვას, აქ ვყა-ლიბდებოდით როგორც ადამიანები. უდიდესი

სიახლოვეთ ვიხსენებ იმ დროს, როდესაც ბებიას რთვულში დაყვავდით. ძალიან მი-ყვარს ვენახი და ყურძნის კრეფის პროცე-სი, ტრადიციული და საინტერესოა. მოგო-ნებები ძალიან ბევრი და დადებითი მაქვს დედოფლისწყაროსთან, სადაც ყოველთვის უდიდესი სითბოთი მხვდებოდნენ და დღე-საც მხვდებიან ჩემი საყვარელი ადამიანები. შეუძლებელია ამას გავლენა არ მოეხდინა. ალბათ ამის გამოა, რომ გული აქეთ მო-მინევს და ყოველთვის სიახლოვეთ მოე-დივარ.

– ცნობილი ადამიანების შვილები ხში-რად აღნიშნავენ, რომ არ სურთ სხვისი ჩრ-დილი დაჰყვებოდეთ. შენს შემთხვევაში რო-გორაა?

– ლადო ათანელის შვილობა უდიდესი პასუხისმგებლობა ჩემთვის. მამაჩემი მსო-ფლიო დონის მომღერალია და როცა მის შვილს აქვს პრეტენზია, რომ გამოვიდეს და იმღეროს, ეს ცოტას არ ნიშნავს. მასუ-რებელსაც ყოველთვის ექნება მცდელობა, ერთმანეთს შეგვადაროს. მეც ვცდილობ გავამართლო მისი იმედები. ის ჩემთვის მხოლოდ მშობელი არ არის, ის უდიდესი მომღერალია, რომლისგანაც ბევრ რამეს ვსწავლობ. მე და ჩემს ძმას მასტერკლას-სი რამდენჯერმე ჩაგვიტარა, ავიხსენა, როგორ უნდა განვივითარდეთ ამ სფერო-ში. რაც შეეხება ჩვენს შესაძლებლობებ-თან დაკავშირებით მის შეფასებებს, მამა თელის, რომ ყველა მომღერალი თავის ბედს თვითონ ქმნის. მიღწევები დამოკი-დებულია იმაზე, რამდენს იშრომებ. ხმა და სმენა არ კმარა საიმი-სოდ, რომ წარმატებებს მიაღწიო.

– მისი სახელი უფრო გეხმაგრება, თუ ხელს ვიშლის კა-რიერულ წინსვლაში? საწყის ეტაპზე გზა გაკვალიერი დაგხვდა, თუ თავად მოგიხდა ამის გაკეთება?

– რა თქმა უნდა, მეხმაგრება. ყველა მი-ლიმის და თბილად მი-ღებს, მოქალაქისა და მ-ბარებს მასთან. როცა იგებენ, მისი შვილი ვარ, უხარიათ. თუმცა, მე თავად ვცდილობ შევექმნა ჩემი ბედი და ჩემი კარიერა.

– ამ დრომდე რა მიღწევები გქონდა და იქნებ გაიხსენო ყველა-ზე დასამახსოვრებელი გამოსვლა?


– რაც შეეხება მიღწევებს, ჩემი აზრით ყოველი გამოსვლა მომღერლისთვის დიდი მიღწევაა, რადგან ის გასცემს უდიდეს ენერჯისა და სითბოს მაყურებლისთვის. შემდეგ ეს ენერჯია მომღერალს გაათმა-გებულად უბრუნდება. ჩემთვის მიღწევაა ისეთი ხალხის გვერდით დგომა და სიმღე-რა, როგორც არის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალე-ტის თეატრის გუნდი, ასევე თბილისის ყო-ვლადნმდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქოს გუნდი. სამების ტაძრის გუნდში გვაქვს უდიდესი ბედნიერება, ხში-რად ვიხილოთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. უწმინდესი მუდამ გვა-მხნევენს და გვლოცავენ, სითბოთი და ენერ-გიით გვაფასებს, იმედსა და რწმენას გვიწერ-გავს გულში. ასმაგად საპასუხისმგებლოა ასეთ გუნდში იდგე და პატრიარქი გისმენ-დეს. მიუთმეტეს თუ იცი, რომ პატრიარქს უნიკალური სმენა აქვს და მრავალი საგა-ლობლის ავტორიტაა. ამ გარემოში რომ მოვხვდი, ცხადია, ბედნიერი ვარ. ვფიქრობ, ამ მხრივ ამკარად გამიმართლა.

პირადი საქმეების გამო ამერიკაში გამე-ზარება მომიხდა, სადაც წელიწადზე მეტ ხანს ვიმყოფებოდი. იქ ყოფნის პერიოდ-შიც არ მოვწყდი სიმღერას. ემიგრანტების მიერ შექმნილი იყო ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი „ზეკარი“, სადაც გა-წვევრიანდი. ბანს ვმღეროდი, უამრავ ფეს-ტივალში ვიღებდით მონაწილეობას. ათივე წევრი ქართველი ემიგრანტი იყო, ყველა მათგანი ნიუ-იორკში სხვადასხვა საქმი-თი დაკავებული, მაგრამ სამშობლოს სი-ყვარული და მონატრება რომ დაეძლია, ამ

ანსამბლში განვერიანდა. თვეში ორი-სამი გამოსვლა მაინც გვქონდა. საელჩოებში მი-ღებებზე და სხვადასხვა საღამოებზე გვე-პატიუბოდნენ. ამაში ანაზღაურებას არ ვი-ღებდით, მაგრამ ეს იყო ჩვენი სიყვარულის გამოხატვა სიმღერის მიმართ და ერთად ყოფნა გვიხაროდა. ქართული სიმღერა აღ-მავრთოვანებელია უცხოელებისთვის და იმდენად მოსწონდათ, ხშირად გვეპატიუე-ბოდნენ.

– მიუხედავად ამისა, სამშობლოში და-ბრუნება არჩიე, არ გაგიჭირდა ყველაფრის ხელახლა დაწყება?

– ნიუ-იორკიდან გასული წლის დეკემ-ბერში დავბრუნდი. აუცილებლად უნდა და-ვბრუნებულიყავი, რადგან ჩემი ხმა ფორმა-ში ყოფილიყო და, ასევე, ამ კარიერისთვის სერიოზულად მიმეცქია ყურადღება. ბედ-ნიერი ვარ, რომ დაბრუნებისთანავე თბი-ლისის ოპერის გუნდშიც აღმადგინეს და სამების ტაძრის საკათედრო გუნდშიც დამაბრუნეს. როდესაც პატრიარქი მიბრ-ძანდება, მისი ლოცვა კურთხევით გუნდი თან დაჰყვება და ვგალობთ. ამ გუნდში არაჩვეულებრივი ადამიანები გალობენ. სულ სხვა განცდაა, როცა პატრიარქთან ვალობ. ბოლო თვეებში ოპერაში „კარ-მენსა“ და „აიდაში“ მივიღე მონაწილეობა. „კარმენში“ ბულალტრისა და მექალთანის პარტია შევასრულე, „აიდაში“ კი ქურუმის როლი. არ გამჭირვებია, რადგან რეპერ-ტუარის დიდი ნაწილი ისედაც ვიცოდი. ამას გარდა, იქ იყვნენ ჩემი მეგობრები, რომლებიც მხარში ამომიდგნენ. ამიტომ,



არ გამჭირვებია ხელახლა დავბრუნებული-ყავი სცენაზე. სცენა დაავადებას შვავს, თუ ერთხელ ფეხი დადგი, რთულია, დათმო.

– ძმაზე რას ვეუბნები...

– ჩემი ძმა ძალიან ნიჭიერია. მას და-მთავრებული აქვს საუფუნოდ-სადირიჟორო და სოლო-აკადემიური სიმღერის ფაკულ-ტეტი. ირაკლი მუდმივად მეხუმრებოდა ხოლმე, მაგრამ ბავშვობაში არასოდეს არ დავინტერესებულვარ სიმღერით. ამ დროს ჩემი ძმა მუდმივად ხმაზე დამცინოდა. ვფი-ქრობ, ასე გამიზნულა ექცეოდა, რომ ჩემში ინტერესი გაეღვივებინა. ის ამჟა-მად გერმანიაში მოღვაწეობს. ორი წელია, მიუხედავად იმყოფება, იქ დამთავრა უმაღ-ლესი სასწავლებელი. აქვს მიწვევები სხვა-დასხვა ოპერიდან, სადაც ერთერთ მთავარ პარტიებს შეასრულებს. უნდა ითქვას, რომ საკმაოდ წარმატებულია, რადგან პირველი-ვე ნაბიჯებში ასეთი აღიარება მისი დიდი კარიერის საფუძველი გახდება. მისი შე-საძლებლობები ჩემთან შედარებით უფრო ძლიერია. მას აქვს დირიჟორის სმენა, რაც ძალიან ეხმარება. ის არის ჩემთვის მაგა-ლითი. გამოგიტყდებით, რომ ხშირად ჩემს გაკვეთილებს მას ვასმენინებ, ზოგჯერ ჩა-ნაწერს ინტერნეტითაც ვუგზავნი და მის შენიშვნებს ყოველთვის ვითვალისწინებ.

– სამომავლო გეგმების და მიზნების შესახებ გვიამბე...

– ყველა მომღერალი დიდ სცენაზე ოც-ნებობს. ჩემი მიზანია წარმატება, სახელი და დიდ სცენაზე გასვლა. წარმატებას შენს ქვეყანაში მიაღწიო, ასმაგად უფრო ძვირფასია, ვიდრე საზღვარგარეთ. შენი ხალხისთვის როცა მღერი, უფრო ტკბილია ასეთი წარმატება.

ილია გარტყოფლიშვილი



ირაკლი კობახიძე - სტატუსი პრეზიდენტის რჩება ზუსტად იგივე, უფლებამოსილებებში კი ორი არსებითი ცვლილებაა, რომელიც ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს ეფუძნება

უშიშროების საბჭო პრეზიდენტს რჩევებს აძლევს იმ საკითხებზე, რომელიც არის მთავრობის უფლებამოსილება, - ამის შესახებ ქუთაისში, საკონსტიტუციო პროექტის საყოველთაო - სახალხო განხილვაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა. მისი თქმით, პრეზიდენტის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით, სტატუსი

პრეზიდენტის რჩება ზუსტად იგივე, უფლებამოსილებებში კი ორი არსებითი ცვლილება, რომელიც ეფუძნება ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. "რაც შეეხება უფლებამოსილებებს, აქ შედის ორი არსებითი ცვლილება. ერთი ეხება უშიშროების საბჭოს, ეროვნული უშიშროების საბჭოსთან დაკავშირებით პირდაპირ არსებობდა ვენეციის

კომისიის რეკომენდაცია. ვენეციის კომისიაში პირდაპირ საუბრობდნენ, რომ ამ სისტემაში არ შეიძლება არსებული სახით მოქმედებდეს უშიშროების საბჭო. მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ უშიშროების საბჭო პრეზიდენტს რჩევებს აძლევს იმ საკითხებზე, რომელიც არის მთავრობის უფლებამოსილება. ხომ არ შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რომ

ვილაცამ მე მირჩიოს რაიმე იმასთან დაკავშირებით, რაც უნდა გააკეთოს ბატონმა თენგიზმა? ეს არის გამორიცხული. ასეთი დონის ნონსენსია ჩადებული დღევანდელ კონსტიტუციაში. მეორე საკითხი არის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წარდგენა. ამ შემთხვევაშიც შავით თეთრზე წერია ვენეციის კომისიის 2010 წლის დასკვნაში, რომ მიზანშეწონილია წარმდ-

გენი იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ჩვენ გადავამოწმეთ ვენეციის კომისიის ექსპერტებთან ეს პოზიცია და ახლაც ამბობენ, რომ ეს მოწესრიგება არის უფრო ზუსტი. სტატუსი პრეზიდენტის რჩება ზუსტად იგივე, უფლებამოსილებებში კი ორი არსებითი ცვლილება, რომელიც ეფუძნება ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს", - განაცხადა კობახიძემ.

მათი ბედნიერი თვალების დანახვა ჩვენთვის ყველაზე დიდი საჩუქარია...

რამდენიმე კვირაა, გასართობ ცენტრ „ლაბირინთში“ ბავშვების ჟურნალი არ წყდება. არა, ეს არ უკავშირდება ჩვეულ დაბადების დღეებსა თუ სხვა რაიმე ღონისძიებას, რომელიც ბავშვების მშობლები თანხას იხდიან, რათა პატარებს რომელიმე ღირსშესანიშნავი დღე გაუღამაზონ. ამჯერად პატარების

გახარება „ლაბირინთის“ ხელმძღვანელობამ სრულიად უსასყიდლოდ გადაწყვიტა. „გაზაფხულის დადგომასთან ერთად გადაწყვიტეთ, გაგვეკეთებინა ისეთი რაღაც, რაც ბევრ პატარას გაახარებდა. საქველმოქმედო აქციაში ჩავართეთ I-IV კლასის მოსწავლეები, ძირითადად, სოფლის სკოლე-

ბიდან. მათ იშვიათად აქვთ საშუალება, მსგავსი სახის ცენტრებში სტუმრობის. რამდენიმე სოფლიდან უკვე გამოვიდნენ ბავშვები და მოიხსენეს გასართობ ცენტრში, სადაც სპეციალურად ამ დღეებისთვის შესაბამისი პროგრამა იწერება და დიჯეებიც მუშაობენ, რომლებიც პატარების განწყო-

ბის ამაღლებაზე ზრუნავენ“- განაცხადა ჩვენთან საუბრისას გასართობი ცენტრის „ლაბირინთი“ დირექტორმა ბიძინა პაპაშვილმა. საქველმოქმედო აქცია შაბათ-კვირას ხორციელდება და მის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა ჩაერთვება. ნორ-

ჩებს სადღესასწაულო განწყობის შექმნის პარალელურად აქ ტკბილეულითაც უმასპინძლებიან. მოკლედ, ბავშვები გასართობი ცენტრიდან უსაზღვროდ კმაყოფილები ბრუნდებიან სახლებში. „მათი ბედნიერი თვალების დანახვა ჩვენთვის ყველაზე დიდი საჩუქარია“- ამბობენ ორგანიზატორები.



ულოცავენ!
ბიორგი პოპიაშვილს!



ჩვენი ოჯახის დიდი ხნის ოცნება და საჩუქარო, ჩვენი ცხოვრების აზრო და სიხარულო, ჩვენი ტკივილის დიდი მალამო, შენ უკვე ორი წლის გახდები ხვალ, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე. გილოცავ, ძვირფასო, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ, უფალმა გაგზარდოს გონიერი და ღონიერი. უკიდევანოდ მიყვარხარ, ჩემო იმედო!

გაკოცნი, **შენი ბებო ნაირა ბორაშვილი.**

სპორტი

დედოფლისწყაროს უმუხს გუნდის სპორტსმენები (მწვრთნელი გიორგი ცისკარაული) ამაწლის 29-30 აპრილს იმყოფებოდნენ ქუთაისის ღია პირველობაზე უმუხსანდაში, დედოფლისწყარო ამ შეჯიბრებაზე 6 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი, ღია პირველობიდან ჩვენმა მეზობლებმა 3 პირველი, 1 მეორე და 2 მესამე ადგილი აიღეს. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: თამაზ ღვინიაშვილი, ბექა გონაშვილი და ლუკა პოპიაშვილი, მეორე ადგილი დაიკავა ლოვა ბაიროიანმა, ხოლო მესამე ადგილების მფლობელები ნიკა ნიკლაური და თორელ ცისკარაული გახდნენ.



ირინა მარაბიშვილს!

ჩვენო საყვარელო ირინა, გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. გისურვებთ იყოთ ჯანმრთელი, გახარებული და ბედნიერი თქვენს ოჯახთან - მშობლებთან, შვილებთან, სიძესთან, შვილიშვილებთან. ჩვენი სამსახური თქვენით არსებობს, თქვენი ენერჯიულობა და მიზანსწრაფულობა მისაბაძია. თქვენს ფიზიკურ მშვენიერებას თან ერთვის სიკეთე, თანაგრძნობა, მხნეობა, რაც ასე დასაფასებელია. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ. თქვენი იმედი არ მოგვიშალოს ღმერთმა.

კაჯე „კაპუჩინოს“ თანაგრომლები

იყიდება!

იყიდება ერთოთახიანი ბინა ავტოფარეხით დედოფლისწყაროში. კეთილმოწყობილია სველი წერტილებით, დამონტაჟებულია გამათბობელი და ბინა უზრუნველყოფილია ცივი და ცხელი წყლით(სოკარის ბენზინგასამართი სადგურის მოპირდაპირე მხარეს)რუსთაველის ქუჩა N4, კორპუსი 31, ბინა 17. ფასი შეთანხმებით.

☎ 591 80 35 13.

იყიდება სამოთახიანი ბინა ავტოფარეხით ქ. დედოფლისწყაროში (სოკარის ბენზინგასამართი სადგურის მოპირდაპირე მხარეს) რუსთაველის ქუჩა N4, კორპუსი 31, ბინა 9. ფასი შეთანხმებით.

☎ 555 21 19 20.

ამინდი

| | | | | | | | | | | | |
|------------------------------|--------------------------------|-------------------------------|--------------------------------|-------------------------------|-----------------------------|---------------------------|-----|----|-----|-----|-----|
| ორშაბათი 08.05 დღე 16° | სამშაბათი 09.05 ღამე 15° | ოთხშაბათი 10.05 დღე 20° | ხუთშაბათი 11.05 ღამე 14° | პარასკევი 12.05 დღე 20° | შაბათი 13.05 ღამე 15° | კვირა 14.05 დღე 18° | 11° | 9° | 10° | 13° | 12° |
|------------------------------|--------------------------------|-------------------------------|--------------------------------|-------------------------------|-----------------------------|---------------------------|-----|----|-----|-----|-----|

გამომცემელი შპს „შირაპი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ნაირა ბორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლევია: **ლალი მახრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტიკა); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათია ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).**
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.